
სადემონტაჟო შენობის
კონტური
01.01.834
01.02.236
01.00.393
01.04.568
01.17.13.038.003
01.17.13.038.046
01.17.13.038.002


სადემონტაჟო შენობის კონტურები
ტერიტორია რომელიც არ მუშავდება
17.09.2024
LIQUI MOLY
MOTOR OILS
ADDITIVES
CAR CARE
eurol


eurol
LIQUI MOLY
MOTOR OILS
ADDITIVES
CAR CARE
LIQUI MOLY
LIQUI MOLY
17.09.2024


11.00
0.40
9.00
6.00
4.80
4.40
2.85
eurol
LUBRICANTS
LIQUI MOLY
MOTOR OILS
ADDITIVES
CAR CARE
LIQUI MOLY
LIQUI MOLY
LIQUI MOLY
LIQUI MOLY
ფილტრები
17.09.2024

სილქნეტი
SILKNET

№ 5869/24-8 „01" 10 2024

შპს „ჰისნი ბიოგრაფი"-ს დირექტორს
ბატონ ვასილ ფხაკაძეს
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #80კ
ტელ: 2500505

ბატონო ვასილ,

თქვენგან შემოსული წერილის (#26/09-103ბ 26/09/2024წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, წმინდა ქ. დედოფლის გამზ. #65დ-ში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.17.13.038.003 გადის სს „სილქნეტის" მიწისქვეშა კომუნიკაციები, საიდანაც შემყვანი არხის მეშვეობით კაბელი შედის არსებულ სადემონტაჟო შენობაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად სს „სილქნეტის" მიწისქვეშა კომუნიკაცია არ მოდის კვეთაში სადემონტაჟო შენობასთან. სს „სილქნეტი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ შენობის დემონტაჟი ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით:

1. შენობის სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე ორი თვით ადრე, უნდა მოგვმართოს წერილობით.
2. სამუშაოების დაწყება შესაძლებელი იქნება სს „სილქნეტის" მიერ არსებული ქსელის, სადემონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ.
3. დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას, არაუგვიანეს სილქნეტის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გასცეს ყველა საჭირო თანხმობა/ნებართვა ქსელის მოწყობისთვის/დემონტაჟისთვის საჭირო სამუშაოების შეუზღუდავად ჩატარების ან/და სილქნეტის მიერ მოწყობილი საკომუნიკაციო არხზე/ქსელზე/ელემენტზე სს „სილქნეტის" უფლებ(ებ)ის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით;

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის" კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი"-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის" წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

ხაზობრივი ნაგებობის დაზიანების შემთხვევაში დაგეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ირაკლი აბაშიძე

HISNI
BY BIOGRAPI

N19/08-1-ჰბ

19 აგვისტო 2024წ.

**მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა**

შპს „ჰისნი ბიოგრაფისგან" (ს/ნ 404614681) (შემდგომში „კომპანია") წარმოდგენილი მისი დირექტორების ვასილ ფხაკაძის (პ/ნ 01008027919) და თამარ გამგონეიშვილის (პ/ნ: 01024065723) სახით, ენდობიან და უფლებას ანიჭებენ, ვალერიან მაისაშვილს (პ/ნ 01024006202) (შემდგომში „რწმუნებული"), რათა იგი იყოს კომპანიის ერთპიროვნული, სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მის სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, აღნიშნული წარმომადგენლობის ფარგლებში იგი უფლებამოსილია ერთპიროვნულად კომპანიის სახელით შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

- წარადგინოს მიწის ნაკვეთზე, რომლის რეკვიზიტებია: ქალაქი თბილისი , ქეთევან წამებულის გამზირი N65,N69; ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.17.13.038.059) მდებარე ობიექტის/შენობა ნაგებობის დემონტაჟის ნებართვის გაცემის მიზნით შესაბამისი განცხადება, შესათანხმებლად წარადგინოს დემონტაჟის პროექტი და მოითხოვოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემა;
- მოითხოვოს ცვლილება/კორექტირება შეთანხმებულ დემონტაჟის პროექტში და ამ მიზნით წარადგინოს შესაბამისი განცხადება, არქიტექტურული პროექტი;
- წარადგინოს, გამოითხოვოს ასევე ჩაიბაროს ნებისმიერი დოკუმენტი (განცხადება, წერილი, ნებართვა, თანხმობა, ცნობა, ახსნა-განმარტებითი ბარათი, დაჯარიმების აქტი და ა.შ.);
- გამოითხოვოს ინფორმაცია, იყოს განმცხადებელი და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს;
- გადაიხადოს მომსახურების საფასური/მოსაკრებელი;
- შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება კომპანიის სახელით, რაც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან და ემსახურება დამკვეთის ინტერესებს.

მინდობილობა გაცემულია 2024 წლის 19 აგვისტოდან და ძალაშია 2024 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

შპს „ჰისნი ბიოგრაფისგან" - ის

დირექტორები

ვასილ ფხაკაძე

__________ ვ.ფხაკაძე

თამარ გამგონეიშვილი

__________

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

9504560452382З

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

**იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N230584551**

რეგისტრაციის თარიღი

05.05.2023 წ

ნოტარიუსი: თინათინ_გელაშვილი

მისამართი: სამცხე-ჯავახეთი. ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ. #82

ტელეფონი: +995591914511

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ხუთ მაისს მე, ნოტარიუს თინათინ გელაშვილს (სანოტარო ბი... მდებარე მისამართზე: ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ.№82) მომმართა მოქ. მარტუნ მკოიანმა, როგორც ... სანოტარო წესით შპს „მმ"-ის დირექტორმა, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მარტუნ მკოიანმა (დაბადებული 19.03.1967 წელს. პირადი №07001001210, მისამართი: ქ. ახალქალაქი, ერევნის ქ. №44) მომმართა. მარწმუნებლის ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მარწმუნებლის უფლება-მოსილება დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი **B22146330**, მომზადების თარიღი: 17/11/2022 წ., საიდენტიფიკაციო ნომერი 402084757, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი **B22040917**, მომზადების თარიღი: 06/04/2022 წ., საიდენტიფიკაციო ნომერი 236684469, ასევე გადაწყვეტილება №1 დამოწმებულია ნოტარიუსის თ. გელაშვილის მიერ რეგ. **N230584341** 05.05.2023წ.

მარწმუნებელმა განაცხადა, რომ ვერ ფლობს ქართულ ენას, რის გამოც მე, ნოტარიუსმა თინათინ გელაშვილი ვფლობ რა რუსულ ენას სრულყოფილად, მისი თხოვნით შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ქართულ და მარწმუნებლისთვის გასაგებ რუსულ ენაზე, აღნიშნული ტექსტი წავუკითხე მარწმუნებელს, განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, თავადაც წაიკითხა ტექსტი და განაცხადა რომ მინდობილობა ზუსტად შეესაბამება მის ნებას და ჩემი თანდასწრებით რუსულ ენაზე მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

გადახდილია საზღაური 30 (ოცდაათი) ლარი + 10 (ათი) ლარი+ 5 (ხუთი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების, 3-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-5 პუნქტის, 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 39-ე მუხლის 1 პუნქტისა, ასევე 7.20 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა სულ 52.20 (ორმოცდათორმეტი ლარი და 0.20 თეთრი) ლარი.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, მარტუნ მკოიან (დაბადებული 19.03.1967 წელს. პირადი №07001001210, მისამართი: ქ. ახალქალაქი, ერევნის ქ. №44) **როგორც "მარწმუნებელი"** ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ ჩემს **რწმუნებულს:**

დავით მანჩხაშვილს (დაბადებული 25.11.1968 წ. პირადი №01024021178. მისამართი: ქ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქ. №18, კორპ. 4, ბ. 2) **რომელიც უფლებამოსილია** შპს „მმ"-ისა და შპს „მეეკი"-ს **სახელით გამოვიდეს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სახის დაწესებულებებთან ურთიერთობაში,** გაასხვისოს ქეთევან წამებულის ქ. 65-ში მდებარე 01.17.13.038.040 და ქალაქ თბილისში, ჭრელაშვილის ქ. 4-ის მიმდებარედ, 01.17.13.038.049; საკადასტრო ერთეულები (შემდგომ „ნასყიდობის საგანი") შპს "ისანი თაუერსის" (ს/ნ 404614681) სასარგებლოდ, თავისი შეხედულებისამებრ გააფორმოს ნასყიდობის საგანზე ნასყიდობის ან/და გაცვლის ხელშეკრულება, თავად განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი და პირობები, ხელი მოაწეროს საჭიროებისამებრ, აღნიშნულ უძრავი ქონებების ნასყიდობის ან/და გაცვლის ხელშეკრულებებს, წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებას, ძირითად ნასყიდობის ხელშეკრულებას და განახორციელოს მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, გასცეს მყიდველის მიმართ ნებისმიერი შინაარსის დოკუმენტი, მათ შორის თანხმობა ნასყიდობის საგანზე მყიდველის მხრიდან ნებისმიერი მოქმედების განხორციელების შესახებ, რაც უკავშირდება ნასყიდობის საგანზე მშენებლობას/სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმებას/მშენებლობის ნებართვის მოპოვებას, უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციას და სხვა, განსაზღვროს ამგვარი თანხმობის კონკრეტული შინაარსი, განახორციელოს ყველა სახის მოქმედება, რაც საჭირო და აუცილებელია პირველ პუნქტში მითითებული მიზნის მისაღწევად, **დადოს/ გააფორმოს/ ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის დოკუმენტს,** მათ შორის ხელშეკრულებას უძრავი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფის თაობაზე, მარეგისტრირებელ ორგანოებში განახორციელოს შესაბამისი რეგისტრაციები. **შეასრულოს აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებული ოპერაციები, მოაწეროს ხელი ჩემი სახელით შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც საჭიროა ამ დავალების შესასრულებლად.**

**მინდობილობა გაცემულია 20.05.2023წლამდე ვადით, მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.**

**მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება ნოტარიუს თინათინ გელაშვილის არქივში თან ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.**

მარწმუნებელი:

მარტუნ მკოიან

ნოტარიუსი თინათინ გელაშვილი

Грузия

Нотариальный акт

Две тысячи двадцать третьего года пятого мая, ко мне, нотариусу Тинатин Гелашвили, нотариальное бюро которой находится в г. Ахалкалаки, ул. Свободы #82, обратился гр. Мартун Мкоян, как директор ООО «ММ», который попросил составить и заверить в нотариальном порядке доверенность. Я проверила его личность по представленному им удостоверению личности и установила, что ко мне обратился действительно Мартун Мкоян (19.03.1967 г.р., личный №07001001210, адрес: г. Ахалкалаки, ул. Ереванская №44). Я проверила также его дееспособность, в чём не нашлось повода для сомнений. Полномочия доверителя проверила на основании выписки из реестра предпринимательского и непредпринимательского (некоммерческого) реестра юридических лиц: номер регистрации заявления: B22146330, дата приготовления 17/11/2022 г., идентификационный номер 402084757, номер регистрации заявления: B22040917, дата приготовления 06/04/2022 г., идентификационный номер 236684469, также решением №1 заверенный нотариусом Т. Гелашвили рег. N230584341, 05.05.2023г.

Доверитель заявила, что не владеет грузинским языком и я, нотариус, Тинатин Гелашвили, так как владею русским языком в совершенстве, по его просьбе составила текст доверенности на грузинском и понятном доверителю русском языках. Настоящую доверенность прочитала вслух доверителю и объяснила правовые последствия подписания. Доверитель сам прочитал текст и заявил, что доверенность в точности соответствует его волеизъявлению и в моем присутствии собственноручно подписался на доверенности на русском языке.

Взыскана госпошлина 30 (тридцать) лари + 10 (десять) лари + 5 (пять) лари, на основании пункта 7 статьи 31, пункта 2 и пункта 5 статьи 3 и 1 статьи 39 Постановления Правительства Грузии № 507 от 29.12.2011 г., также 7,20 лари НДС, согласно Налогового Кодекса Грузии статьи 166, всего 52.20 (пятьдесят два лари 0,20 тетри)

## Доверенность

Я, Мартун Мкоян (19.03.1967 г.р., личный №07001001210, адрес: г. Ахалкалаки, ул. Ереванская №44), как доверитель, настоящей доверенностью уполномочиваю,

Давита Манчхашвили (25.11.1968 г. рождения, личный №01024021178. адрес: г. Тбилиси, ул. Симона Чикова №18, корп. 4. кв. 2) выполнять от имени ООО «ММ» и ООО «Мееки», зарегистрированного на мое имя, торгово-коммерческую деятельность, на отчуждение недвижимых имуществ на улице Кетеван Цамебули N65 N 01.17.13.038.040, и расположенный по адресу и Тбилиси ул. Чрелашвили около N4, N01.17.13.038.049; Кадастровые объекты (далее «предмет купли и продажи») в пользу ООО «Исани Тауэрс» (S/N 404614681) без ограничений по своему усмотрению оформить договор купли-продажи и (или) мены на предмет купли-продажи, самостоятельно определять содержание и условия договора, подписать договоры купли-продажи и/или обмена недвижимости, предварительный договор купли-продажи, основной договор купли-продажи и зарегистрировать его в государственном реестре, выдать покупателю документы любого содержания, в том числе согласие на любые действия со стороны покупателя по предмету купли-продажи, что связано со строительством на объекте купли-продажи/договора документации на строительство/получения разрешения на строительство, оформление прав на недвижимое имущество и др., определить конкретное содержание такого согласия, осуществить все виды действий, заключить/подписать любого вида документа, в том числе договор об ипотечном обеспечении недвижимого имущества, провести соответствующие регистрации в регистрирующих органах, производить все операции, связанные с данными поручениями, расписываться за меня и совершать все другие действия, конкретно не указанные в настоящей доверенности, но необходимые для осуществления деятельности индивидуального предприятия.

Доверенность выдана сроком действия до 20.05.2023года, без права передоверия на третьи лица.

На тот экземпляр доверенности, которая остается в нотариальном архиве у Тинатин Гелашвили и прилагается выписка юридических лиц предпринимательского и непредпринимательского (некоммерческого) реестра.

Доверитель: Мкоян Мартун

Мартун Мкоян

Нотариус Тинатин Гелашвили

2

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

60841886614624

**საქართველო**

სანოტარო მოქმედების დასახელება

## იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N240381294

რეგისტრაციის თარიღი

**28.03.2024 წ**

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ქ. შარტავას 42
ტელეფონი: 591709917

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

## საქართველო

## სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძეს შემცვლელი პირი მარიამ გინტური , რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას #42-ში, მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად გაგარინის 29ა-ში, სადაც მომმართა **ზურაბ ქოქოსაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს საქართველოს ბანკის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის არჩილ გაჩეჩილაძის მიერ 22.01.2024 წ. დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N240070424 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **ზურაბ ქოქოსაძემ** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **ნინო აფციაურის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება, მე დავადგინე **ზურაბ ქოქოსაძეს** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზურაბ ქოქოსაძემ** (დაბადებული 25.11.1982 წ. ქ. სოხუმი, პირადი ნომერი: 62001032255, მცხოვრები თბილისი სამგორი III მასივი IX კვ. კორ. 2 ბ. 1) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **ზურაბ ქოქოსაძემ** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ერთი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 30.00 ლარი, + სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35,00 ლარი დღგ 11,70 ლარი, რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებისვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

# რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

მე, სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **ზურაბ ქოქოსაძე** (შემდგომში - მარწმუნებელი), **ნინო აფციაურს** (პირადი ნომერი: 01030052236; შემდგომში - რწმუნებული), ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით:

1. დადოს და გააფორმოს (მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერით) ხელი მოაწეროს):

1.1. გენერალური საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის, დეპოზიტის და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი/ ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები) 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში;

1.2. ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.3. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები ან/და ნებისმიერი სხვა სახის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

2. წინამდებარე რწმუნებულების 1.1, 1.2 და 1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ებ)ში/შეთანხმება(ებ)ში/გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის (გარდა 1.1 ქვეპუნქტში მოცემულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ები)ში/ შეთანხმება(ები)ში/გარიგება(ები)ში თანხის ცვლილებისა, თუ აღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებული ნებისმიერი გარიგების თანხა გადააჭარბებს წინამდებარე რწმუნებულების 1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრულ თანხობრივ ლიმიტს) შესახებ შეთანხმებ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებისა.

3. წინამდებარე რწმუნებულების 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში:

3.1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში;

3.2. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო ან/და კერძო პირისთვის წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებსა;

3.3. სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/განცხადება(ები)/ წერილ(ებ)ი/დოკუმენტაცია.

**რწმუნებულება გაცემულია 2025 წლის 1 აპრილამდე.**

მარწმუნებელი

**ზურაბ ქოქოსაძე** ____________________

ნოტარიუსი ____________________

აკინძულია

ფურცლად

# თ ა ნ ხ მ ო ბ ა

თბილისი 08.05.2023

ვინაიდან, 2023 წლის 8 მაისს შპს "მმ" (402084757) როგორც გამყიდველსა და შპს „ისანი თაუერსს" (ს/ნ 404614681), როგორც მყიდველს შორის გაფორმდა ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის ქ. N65-ში მდებარე N01.17.13.038.040 და ქალაქ თბილისში, ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ, N01.17.13.038.049 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულება. ვინაიდან, ნასყიდობის საგნის გადაცემის სანაცვლოდ, გამყიდველს მყიდველის მიერ უნდა გადაეცეს უძრავი ქონება/ფართი და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჯარო რეესტრში ნასყიდობის საგანზე რეგისტრირდება ვალდებულება, მყიდველის მიერ სამშენებლო პროექტის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, ჩემი ნამდვილი ნების შესაბამისად გავცემ უპირობო, უვადო და გამოუხმობად თანხმობას შემდეგზე:

მყიდველი (შპს „ისანი თაუერსი" (ს/ნ 404614681)) უფლებამოსილია უფლებამოსილია: ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის ქ. N65-ში მდებარე N01.17.13.038.040 და ქალაქ თბილისში, ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ, N01.17.13.038.049 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ნივთები (ნასყიდობის საგანი), ჩემი (შპს "მმ" (402084757)) დამატებითი თანხმობის გარეშე თავისი შეხედულებისამებრ გააერთიანოს სხვა უძრავ ქონებასთან/მიწის ნაკვეთებთან, დაყოს მიწის ნაკვეთები, მიიღოს ყველა ზომა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების დაყოფის/გაერთიანების მიზნით, შეათანხმოს/შეცვალოს არსებული/დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა/გააერთიანოს მომიჯნავე ტერიტორიაზე მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შემადგენლობაში, მოითხოვოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმება/დემონტაჟის ნებართვის გაცემა, თავად განსაზღვროს ყველა მოთხოვნის შინაარსი, განათავსოს ნასყიდობის საგანზე შენობა-ნაგებობა/მისი ნაწილი, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს ნასყიდობის საგნით, განკარგოს/გაასხვისოს/უფლებრივად (მათ შორის იპოთეკით) დატვირთოს იგი ჩემი დამატებითი თანხმობის გარეშე. განახორციელოს აშენებული/ასაშენებელი ფართების განშლა/რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ნებისმიერი უფლების რეგისტრაცია ნასყიდობის საგანზე (ჩემს მიმართ ვალდებულების შენარჩუნებით) მათ შორის კონფიგურაციის ცვლილება, მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების ცვლილება, ნებისმიერი ფორმით გაასხვისოს/გაყიდოს ასაშენებელი უძრავი ქონების არასაცხოვრებელი ფართი/ბინა - ერთეულები/ავტოსადგომები და სხვა, აწარმოოს მშენებლობა საკუთარი შეხედულებისამებრ, მიიღოს ექსპლუატაციაში აშენებული ობიექტები.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედების განხორციელების დროს შპს „ისანი თაუერსი" (ს/ნ 404614681) უფლებამოსილია თავის შეხედულებით იმოქმედოს. გამონაკლისს წარმოადგენს გადასაცემი ქონების გასხვისება.

შპს „ისანი თაუერსი" ამ თანხმობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზების მიზნით უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიმართოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს/საჯარო დაწესებულებას, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, სსიპ -საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ნებისმიერ სხვა დაწესებულებას, ფიზიკურ პირებს, წარადგინოს განცხადება/დოკუმენტაცია, დააყენოს მოთხოვნა და განსაზღვროს მისი შინაარსი, ჩაიბაროს მომზადებული პასუხები, გადაიხადოს მოსაკრებლები/გადასახდელები, დადოს გარიგებები და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ამ თანხმობაში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.

წინამდებარე თანხმობით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები სრულად და უპირობოდ ვრცელდება მხარეთა უფლებამონაცვლეებზე, სამართალმემკვიდრეებზე, წარმომადგენლებზე.

წინამდებარე თანხმობა ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით ბენხაშვილი



მე ყურადღებით გავეცანი წინამდებარე თანხმობას, სრულად მაქვს გაცნობიერებული მისი შინაარსი და რომ წინამდებარე თანხმობის გაცემა წარმოადგენს *ნასყიდობის საგანზე* სამშენებლო სამუშაოების დაწყების წინაპირობას. ასევე ვადასტურებ, რომ წინამდებარე თანხმობის ხელმოწერა შედის ჩემს ინტერესებში და რომ წინამდებარე თანხმობას ხელს ვაწერ ნებაყოფლობით, რაიმე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომაში შეყვანის და/ან მსგავსი სხვა გარემოების გარეშე.

ვადასტურებ, რომ წინამდებარე თანხმობა ვრცელდება ჩემს სამართალმემკვიდრეებზე და *პირადი ქონების* ნებისმიერ და ყველა მომავალ მესაკუთრეზე.

**შპს „მმ“**

**დირექტორი**

**მარტუნ მკოიანი (პ/ნ 07001001210)**, წარმომადგენელი დავით განახაშვილი 01024021178 [illegible] მინდობილობით №230584551

**ხელმოწერა:** ----------------------------------------------- დავით განახაშვილი



| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N230588025 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 08.05.2023 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | **დავით ოყროშიძე** |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | **ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4** |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 995322745001 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 16243068107523 |

მე, ნოტარიუსი დავით ოყროშიძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი 22/4, ვამოწმებ წინამდებარე დოკუმენტზე - თანხმობაზე, სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირის, ბატონი დავით მანჩხაშვილის (საქართველოს მოქალაქე, დაბ.25.11.1968, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქუჩა, N 18, კორპუსი 4, ბინა 2, პირადი ნომერი: 01024021178) ხელმოწერის ნამდვილობას. დოკუმენტი წარმოდგენილია უშუალოდ ხელმომწერი პირის მიერ, შედგენილი ქართულ ენაზე. ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით, მას შემდეგ რაც მას განემარტა ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის გარემოება, რომ ნოტარიუსი ადასტურებს მხოლოდ ხელმომწერი პირის პირადობასა და მის ხელმოწერას წარმოდგენილ დოკუმენტზე. ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა წარმოდგენილი დოკუმენტის შინაარსსა და მის კანონთან შესაბამისობაზე, რაზეც სრულად პასუხისმგებელია ხელმომწერი პირი.

დოკუმენტი განთავსებულია 2 (ორი) გვერდზე. დამოწმდა 2 (ორი) ხელმოწერა.

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 8.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 1.44 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და 5.00 ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი

+ ნოტარიუსი დავით ოყროშიძე + საქართველო + NOTARY DAVID OKROSHIDZE + GEORGIA

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

GEORGIA
NOTARY DAVID OKROSHIDZE

**საქართველოს ბანკი**
ბიზნესი

№ 0CД48005 27 08 2024

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით № 01.17.13.038.059 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: ეკატერინე კიკნაველიძე (პ/ნ 01006009460), ვასილი დოხნაძე (პ/ნ 01011007703), ირაკლი შარაშენიძე (პ/ნ 01023005165), შპს "ჰისნი ბიოგრაფისგან" (ს/ნ 404614681) დაზუსტებული ფართობი: 35459.00კვ.მ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N65,N69; ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ) სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი AR11054302 განაცხადის შესაბამისად გაიცეს დემონტაჟის ნებართვა (შემდგომში - **ნებართვა**).

ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე ნებართვის** საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

ნინო აფციაური

კორპორაციული კლიენტების მომსახურების
დეპარტამენტის სექტორის უფროსი

HISNI
BY BIOGRAPI

N23/09-1-ჰბ
23 სექტემბერი 2024 წ.

# მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „ჰისნი ბიოგრაფისგან“ (ს/ნ: 404614681) (შემდგომში „კომპანია“) წარმოდგენილი მისი დირექტორების ვასილ ფხაკაძის (პ/ნ: 01008027919) და თამარ გამგონეიშვილის (პ/ნ: 01024065723) სახით, ენდობიან და უფლებამოსილებას ანიჭებენ, ფიზ.პირ ვალერიან მაისაშვილს (პ/ნ: 01024006202) (შემდგომში „რწმუნებული“)

რათა იგი იყოს კომპანიის ერთპიროვნული, სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მის სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, აღნიშნული წარმომადგენლობის ფარგლებში იგი უფლებამოსილია ერთპიროვნულად კომპანიის სახელით შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:

- წარადგინოს მიწის ნაკვეთზე, რომლის რეკვიზიტებია: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამ. N65დ (საკადასტრო კოდი: 01.17.13.038.003), მდებარე ობიექტის/შენობა ნაგებობის დემონტაჟის ნებართვის გაცემის მიზნით შესაბამისი განცხადება, შესათანხმებლად წარადგინოს დემონტაჟის პროექტი და მოითხოვოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემა;
- მოითხოვოს ცვლილება/კორექტირება შეთანხმებულ დემონტაჟის პროექტში და ამ მიზნით წარადგინოს შესაბამისი განცხადება არქიტექტორული პროექტი;
- დემონტაჟის ნებართვასთან ერთად ან დამოუკიდებლად, მოითხოვოს დროებითი (სამშენებლო პერიოდის ვადით) ღობის შეთანხმება;
- წარადგინოს, გამოითხოვოს ასევე ჩაიბაროს ნებისმიერი დოკუმენტი (განცხადება, წერილი, ნებართვა, თანხმობა, ცნობა, ახსნა-განმარტებითი ბარათი, დაჯარიმების აქტი და ა.შ.);
- გამოითხოვოს ინფორმაცია, იყოს განმცხადებელი და ხელი მოაწეროს დოკუმენტებს;
- გადაიხადოს მომსახურების საფასური/მოსაკრებელი;
- შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება კომპანიის სახელით, რაც პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან და ემსახურება დამკვეთის ინტერესებს;

მინდობილობა გაცემულია 2024 წლის 23 სექტემბრიდან და ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

დირექტორები

ვასილ ფხაკაძე

თამარ გამგონეიშვილი

N17/10-1-ჰბ
17 ოქტომბერი 2024 წ.

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია თანახმა განხორციელდეს თავის კუთვნილ ნაკვეთზე, რომლის რეკვიზიტებია: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამ.N65/N69; ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.17.13.038.059), მომიჯნავე მიწის ნაკვეთიდან, რომელიც აგრეთვე ჩვენს საკუთრებაშია და რომლის რეკვიზიტებია: მის: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N65დ - საკადასტრო კოდი: 01.17.13.038.003, გადმოცდენილი შენობა-ნაგებობის დემონტაჟი.

პატივისცემით,

დირექტორები

ვასილ ფხაკაძე

თამარ გამგონეიშვილი

www.biograpi.ge T: 032 2 500 505 80k Chavchavadze Av.